საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 5093/05

5093-05-2-202111082244

08/11/2021

შპს „ბესტი ჯგუფის“-ს დირექტორის
ბატონ მალხაზ კოხრეიძეს
ტელ: 577 40 44 46

ბატონო მალხაზ,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ში (სსე) შემოსულია თქვენი 07.10.2021 წლის N5684 წერილი, რომელიც ეხება №72.13.47.734 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გამავალი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვი 1,2“-ის საკითხს. აღნიშნული საკითხის საპასუხოდ გაცნობებთ შემდეგს:

სეგხ „არაგვი 1,2“ არის ორჯაჭვა ხაზი, რაზეც მეტყველებს ის რომ №72.13.47.734 მიწის ნაკვეთის სიახლოვეს მდებარე N3 ანძას ორივე მხარეს აქვს ტრავერსები (იხ. დანართი 1), ხოლო ის რომ მხოლოდ ერთ მხარეს დაკიდებულია სადენები, შედეგია იმის რომ 90-იან წლებში გაიძარცვა ხაზი, რომლის აღდგენა დაგეგმილია საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების დამტკიცებული ათწლიანი გეგმის მიხედვით 2022 წელს.

სიტუაციურ გეგმასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსე-ს პერსონალის მიერ განხორციელდა სეგხ „არაგვი 1,2“-ის N3 ანძის ტერიტორიის (ს/კ 72.13.33.910) ხელახალი აზომვა/შემოწმება და ნახაზის კორექტირება, რასაც გიგზავნით დანართი N2-ის სახით.

რაც შეეხება №72.13.47.734 მიწის ნაკვეთზე მოქმედ შეზღუდვებს და აკრძალვებს აღნიშნული რეგულირდება საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N366 დადგენილებით: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“, რომლის გარკვეული ნაწილის შესახებ გეცნობათ სსე-ს 24.09.2021 წლის N4092/05 წერილით.


დანართი 1: ფოტოსურათები - 3 (სამი) გვერდი;
დანართი 2: სიტუაციური გეგმა - 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

www.gse.com.ge

უჩა უჩანეიშვილი

გენერალური დირექტორი 


N
W
E
S
8
25
3
4
0 10 20 40 60 80
Meters

სეგხ „არაგვი 1,2“-ის N2 ანძა









სეგხ „არაგვი 1,2“-ის N3 ანძა









სეგხ „არაგვი 1,2“-ის N4 ანძა



